ლუკა ნებიერიძე
ისტორიის საბაკალავრო პროგრამა, თსუ
nebieridzenebo599@gmail.com

XV საუკუნის საქართველოს სამეფოს საველე არმიის რაოდენობის საკითხისათვის

საკვანძო სიტყვები: საველე არმია, ერისთავების სამხედრო პოტენციალი, ჯარების რაოდენობა, თურქმანები, სამხედრო მსახურების რიცხვი, ახალციხის ბრძოლა

Keywords: The army in the field, Military potential of Eristavis, The number of troops, Turkmens, The number of military servants, The battle of Akhaltsikhe

პრუსიელი სამხედრო ისტორიკოსი ჰანს დელბრუკი მიიჩნევდა, რომ სამხედრო ისტორიული კვლევა, თუ ამის საშუალებას წყაროები იძლეოდა, აუცილებლად უნდა დაწყებულიყო ჯარების რაოდენობის განსაზღვრით, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე (Delbruck 1975: 33). თუმცა, აღნიშნული საკითხი ყოველთვის ცხარე კამათის საგანია და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს მეცნიერებს შორის, რაც არც არის გასაკვირი, რადგანაც უმეტესწილად ისტორიულ წყაროებში სამხედრო ძალების რაოდენობასთან დაკავშირებული ცნობები უსაშველოდაა გაზვიადებული. გარდა ამისა, თუნდაც სამხედრო მოქმედებების უშუალო თვითმხილველისათვის, რომელიც ობიექტურად ცდილობს გადმოსცეს ფაქტები, ძალიან რთულია ზუსტად განსაზღვროს ბრძოლებში მონაწილე მეომართა რაოდენობა, ამიტომაცაა, რომ წყაროებში ყოველთვის, ერთეული გამონაკლისების გარდა, დამრგვალებულ და არა კონკრეტულ რიცხვებს ვხვდებით.

ზოგადი თვალსაზრისითაც უნდა ითქვას, რომ სამხედრო ისტორიოგრაფიის განვითარება საქართველოში ამ ბოლო პერიოდში, ალბათ ორი ათეული წლის წინ დაიწყო. ჯერ კიდევ XX საუკუნეში გამოიცა ივანე შაიშმელაშვილის, ქველი ჩხატარაიშვილის, აკაკი კლიმიაშვილისა და ირაკლი ჯორჯაძის რამდენიმე ნაშრომი, რომლებიც ძირითადად ჩვენი ქვეყნის სამხედრო ისტორიის ცალკეულ ასპექტებს ეხება. ამ კუთხით განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა ქართული ისტორიოგრაფია სოსო მარგიშვილის ნაშრომმა „მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, ომი სელჩუკთა სამყაროს წინააღმდეგ“, რომელიც 2006 წელს გამოვიდა. მას მალევე, 2008 წელს, მოჰყვა ავტორის მეორე მონოგრაფია „შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში“. მას შემდეგ კვლევები კიდევ უფრო გაღრმავდა და უამრავი სამეცნიერო ხასიათის მონოგრაფია და სტატია გამოიცა. დღესდღეობით აღსანიშნავია მიხეილ ბახტაძის, ჯაბა სამუშიას, მამუკა წურწუმიასა და ნიკა ხოფერიას ნაშრომები. ერთი

სიტყვით, ქართული სამხედრო ისტორიოგრაფია ნელ-ნელა ვითარდება, თუმცა, კონკრეტულად XV საუკუნის სამხედრო ისტორიის საკითხები ჯერჯერობით მკვლევართა ყურადღების ცენტრში არ მოქცეულა.

ბუნებრივია, ჯარების რაოდენობის საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაშიც დიდ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ქართველ მკვლევართა ერთი ნაწილი კრიტიკულად უყურებს შუა საუკუნეების მატიანეებისა და ქრონიკების ცნობებს, თუნდაც 100 ან 200 000 და კიდევ უფრო დიდი რაოდენობის არმიების არსებობის შესახებ, მეორე ნაწილიც მიიჩნევს, რომ მსგავსი ცნობები ნაკლებად სარწმუნო და გაზვიადებულია, მაგრამ სავსებით ზომიერი რიცხვებია 50 ან თუნდაც 60 000. მაგალითისთვის, მკვლევართა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ დავით IV აღმაშენებლისა და თამარის ეპოქაში ერთიან საქართველოს შეეძლო გამოეყვანა 60 000, ხოლო რიგ შემთხვევაში 80-90 000-იანი საველე არმია (ბახტაძე 2014: 93-10; სამუშია 2009: 65-70; სამუშია 2021: 161-165). აღნიშნული რიცხვები, ვფიქრობ, ძალიან გაზვიადებულია. შუა საუკუნეების საქართველოს სამხედრო პოტენციალის საკითხს სოსო მარგიშვილიც შეეხო. მეცნიერმა მკაცრად გააკრიტიკა ის ავტორები, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ ერთიან ფეოდალურ საქართველოს 60 000-იანი არმიის გამოყვანის შესაძლებლობა გააჩნდა.[1] ეს რიცხვი არ შეესაბამებოდა ეპოქის მასშტაბებს. მისი აზრით, იმავე დავით IV-ის ეპოქაში, თუნდაც დიდგორის ბრძოლაში, საქართველოს მეფის დაქვემდებარებაში 15-18 000-იანი არმია უნდა ყოფილიყო (მარგიშვილი 2006: 113-117).[2]

აქედან გამომდინარე, საინტერესოა, როგორი დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევენ XV საუკუნის წყაროები? რა თქმა უნდა, მოცემული პერიოდის წყაროების სიმრავლით განებივრებულები არ ვართ, მაგრამ არსებული ცნობების საფუძველზეც შეიძლება გარკვეული მოსაზრებების გამოთქმა. ჩემი კვლევის საგანს, უმეტესწილად, XV საუკუნის ჯერ კიდევ ერთიანი საქართველოს სამეფოს საველე არმიის რაოდენობა წარმოადგენს.[3] აღნიშნული საკითხის განხილვისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ქვეყნის სამხედრო-ადმინისტრაციული მოწყობა. ფარნავაზის პერიოდიდან მოყოლებული თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პოლიტიკური ერთეულები როგორც ანტიკურ პერიოდში, ასევე შუა საუკუნეებში საერისთავოებად იყოფოდა (ბახტაძე 2005: 3-18). ქვემოთ, წყაროებში არსებული ცნობებიდან გამომდინარე, განხილული იქნება XV საუკუნის ცალკეული საერისთავოების სამხედრო ძალების რაოდენობაც.

---

[1] ამ ავტორებში ბუნებრივია იგულისხმება XX საუკუნეში მოღვაწე მეცნიერები.

[2] მას ეთანხმებიან თანამედროვე სამხედრო ისტორიკოსები ნიკა ხოფერია და მამუკა წურწუმია. ამ კუთხით საინტერესოა ნიკა ხოფერიას „მწარე პოდკასტი“ (ამავე სახელით არსებული მისი იუთუბ არხი). ერთ-ერთ გადაცემაში მას მოწვეული ჰყავდა მამუკა წურწუმია, რომელთან ერთადაც შუა საუკუნეების არმიების ლოგისტიკის შესახებ ისაუბრა. ორივე მეცნიერი სავსებით ეთანხმება სოსო მარგიშვილის მსჯელობას ფეოდალური საქართველოს სამხედრო პოტენციალის საკითხთან დაკავშირებით. https://www.youtube.com/watch?v=Z7wZictfJPw (დამოწმებულია: 10.04.2024)

[3] თუმცა, რა თქმა უნდა, დაშლის შემდეგ არსებულ წყაროებსაც დავეყრდნობი, რათა ზოგადი წარმოდგენა შევიქმნათ ერთიანობის დროს თუ რა რაოდენობის არმიის გამოყვანა შეეძლო ქვეყანას.

პირველ რიგში, უნდა მიმოვიხილოთ ის წყაროები, რომლებშიც ამ პერიოდის საქართველოს არმიათა რაოდენობაზეა საუბარი.

ესპანელი ავტორის, რუი გონსალეს დე კლავიხოს, ცნობით 1405 წელს გიორგი VII-ს ყარსის, არზრუმისა და თავრიზის მიმდებარე ტერიტორიების დალაშქვრის დროს თან ახლდა 5000-იანი კავალერია, რომლითაც მან მოახერხა თემურ-ლენგის შვილიშვილის, ომარ მირზას მიერ გამოგზავნილი 15 000-იანი ჯარის დამარცხება (კლავიხო 1971: 122). 1412 წელს საქართველოს მეფე კონსტანტინე I-ს ჩალაღანის ბრძოლაში შავბატკნიანების წინააღმდეგ 2000 აზნაური ახლდა (ტაბატაძე 1974: 221).[4] 1445 წელს ბურგუნდიის ფლოტილიის მეთაურის ჟოფრუა დე ტუზის წინააღმდეგ ქალაქ ბათუმთან გამართულ ბრძოლაში გურიის მთავარმა 600 მეომარი გამოიყვანა (კვაჭაძე 2020: 205).[5] 1483 წელს არადეთის ბრძოლაში ყვარყვარე II ქართლის მეფეს 500 რჩეული მეომრით ამარცხებს (ახალი ქართლის ცხოვრება 1959: 41). ვახუშტის ბატონიშვილის ცნობით 1490 წელს სოფელ ენაგეთთან გამართულ ბრძოლაში 20-მა ქართველმა სასტიკად დაამარცხა 300 თურქმანი (ვახუშტი 1973: 389).

საინტერესოა 1433 წლით დათარიღებული ერთ-ერთი საბუთი, რომელიც თავის დროზე სარგის კაკაბაძემ გამოაქვეყნა. როგორც ირკვევა, 1410-იან წლებში სვანებს რაჭველი ფეოდალი ჯაფარიძე მოუკლავთ, რის გამოც რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობამ სვანებს მათი ტერიტორიიდან გამოსასვლელი ყველა გზა შეუკრა და თუ შეიძლება ითქვას, ისინი ერთგვარ „ეკონომიკურ ბლოკადაში“ მოაქცია (კაკაბაძე 1914: 127-128). ღვინოს, მარილს და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკვებს მოკლებულმა სვანებმა 7 წელი გაატარეს ასეთ ვითარებაში, მაგრამ საბოლოო ჯამში გაუსაძლისი მდგომარეობის გამო იძულებულნი გახდნენ ლეჩხუმში 800 კაციანი ამალა გაეგზავნათ, რათა მათ ვაჭრობის გზით მცირე თანხა დაეგროვებინათ საკვების შესაძენად. როგორც ირკვევა, მათ უკან გამობრუნებისას რაჭველ-ლეჩხუმლები დაესხნენ თავს და 400 კაცი მოკლეს (კაკაბაძე 1914: 127-128). მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გათვალისწინებაც, რომ შუა საუკუნეებში სვანეთის სოციალური წყობა ბარში არსებული ფეოდალური სისტემისაგან განსხვავდებოდა, რადგანაც მაღალმთიან რეგიონებში ძირითადად ჯერ კიდევ თემური წყობილება იყო შემორჩენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ მამაკაცების უმეტესობა პოტენციურ სამხედრო ძალას წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც ლეჩხუმში უშუალოდ სავაჭროდ ჩავიდა, ამალის უმეტესობა საკუთრივ მეომრებისგან უნდა ყოფილიყო შემდგარი, ხოლო სვანთა 800 კაციანი რაზმის გათვალისწინებით მათი თავდამსხმელი რაჭა-ლეჩხუმის ლაშქარი მინიმუმ იმავე ზომის მაინც უნდა ყოფილიყო. ერთი სიტყვით მოცემული საბუთი კარგ წარმოდგენას გვაძლევს თუ რა რაოდენობის მეომართა გამოყვანა შეეძლოთ კონფლიქტური სიტუაციების დროს სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის საერისთავოებს.[6] სხვათა შორის, ამ ამბებიდან

[4] თავად ცნობა 2000-იანი არმიის შესახებ ბუდაჰ ყაზვინს ეკუთვნის.

[5] გურია XV საუკუნეში საერისთავოს წარმოადგენდა და მას დიდი ალბათობით ვარდანისძეები მართავდნენ (ბახტაძე 2005: 143-144).

[6] აღნიშნულ პერიოდში სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში საერისთავოები მართლაც არსებობდა. უფრო მეტიც, სვანეთის ერისთავები 1361 წლიდან XV საუკუნის მიწურულამდე დადიანები იყვნენ (ბახტაძე 2005: 140-151).

12 წლის შემდეგ „ეკონომიკური ბლოკადა“ გაგრძელდა და ამჯერად 100 სვანი გაიპარა დვალეთის გზით კახეთში საჯამაგიროდ, მაგრამ უკან მობრუნებისას მათ ხელმეორედ დაესხნენ თავს რაჭველ-ლეჩხუმელნი და მხოლოდ 2 კაცი დატოვეს ცოცხალი. მოგვიანებით, როდესაც მამია დადიანის ინიციატივითა და საქართველოს მეფე ალექსანდრე I დიდის შუამდგომლობით შერიგების მიზნით შედგა შეხვედრა რაჭველებსა და სვანებს შორის, გამოირკვა, რომ თავის დროზე თავად ჯაფარიძეს სვანებთან სხვადასხვა დროს არსებული დაპირისპირებებისას საბოლოო ჯამში მოეკლა 300 მათგანი (კაკაბაძე 1914: 127-128).

ზემოთხსენებული შემთხვევებისაგან რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობაა 1450-იანი წლების მიწურულს დაწერილ იმ წერილებში, რომლებსაც ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მოსურნე ქართველი მეფე-მთავრები უგზავნიან ბურგუნდიის ჰერცოგს. გიორგი VIII კოალიციაში 40 000 მეომრის, ხოლო ყვარყვარე II ჯაყელი 20 000 ცხენოსნის გამოყვანის პირობას იძლევა (თამარაშვილი 1902: 56-60). გარდა ამისა, ხსენებულ წყაროებში მითითებულია, რომ „სამეგრელოს მეფე ბენდია“ მზად იყო „მთელი თავისი ჯარით“ გამოსულიყო მოკავშირეთა სასარგებლოდ და შეერთებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო კამპანიას (თამარაშვილი 1902: 57-60). კონკრეტულად რა რაოდენობის არმია იგულისხმება ამ უკანასკნელ ცნობაში, სამწუხაროდ არ ჩანს, თუმცა ასეთივე „თავიანთი ჯარები“ უნდა ჰყოლოდათ დასავლეთ საქართველოს სხვა მთავრებს, მაგალითად, გურიისა და იმერეთის მმართველებს, რომლებიც შედიოდნენ ამ კოალიციაში. აქედან გამომდინარე, თუ წერილებში ნახსენებ ცნობებს გავითვალისწინებთ, გიორგი VIII – ისა და ყვარყვარე II ჯაყელის სამხედრო პოტენციალთან დაკავშირებით და მათი დახმარებით დაახლოებით განვსაზღვრავთ იმდროინდელი სხვა ქართული სამეფო-სამთავროების, კონკრეტულად, დასავლეთ საქართველოში არსებული პოლიტიკური ერთეულების სამხედრო შესაძლებლობებს, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბურგუნდიის ჰერცოგისადმი გაგზავნილი კორესპონდენციებით ქართველი მეფე-მთავრები ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ XV საუკუნის 50-იანი წლების მიწურულს საქართველოს გენერალურ ბრძოლაში საველე არმიის სახით შეეძლო გამოეყვანა დაახლოებით 70 000-80 000-იანი არმია. ცხადია, რომ წინა აბზაცში ნახსენები ცნობების გათვალისწინებით ეს რიცხვი უბრალოდ არნახულადაა გაზვიადებული, რაც ქვემოთაც არაერთხელ გამოჩნდება.[7]

XV საუკუნის საქართველოს საველე არმიის რიცხობრიობის საკითხისათვის მნიშვნელოვანია ის წყაროებიც, რომლებიც ინფორმაციას გვაწვდიან იმ არმიათა რაოდენობის შესახებ, რომელთა დახმარებითაც ლაშქრობდნენ საქართველოში შავბატკნიანი და თეთრბატკნიანი თურქმანები. 1440 წელს შავბატკნიანთა მმართველს ჯეჰან შაჰს საქართველოში ლაშქრობის დროს 20 000-იანი არმია ახლდა თან (აბდალაძე 1978: 162),[8] ხოლო 1477-78 წლებში უზუნ

[7] წერილებში გაზვიადებული რიცხვების არსებობას, რასაკვირველია, თავისი მიზეზები აქვს. ქართველი მეფე-მთავრები ცდილობენ ევროპელი მონარქების ყურადღების მიქცევას, ხოლო აღნიშნული რიცხვებით არწმუნებენ მათ ანტიოსმალური სამხედრო კამპანიის წარმატებაში.

[8] თავად ცნობა ეკუთვნის ვინმე ჰოვანესს, 1458 წლით დათარიღებული ანდერძ-მინაწერის შემდგენელს.

ჰასანი ჩვენს ქვეყანაში 30 000-35 000-იანი ჯარით შემოიჭრა (ბარბარო 1980: 61). გარდა ამისა, გვაქვს სხვა ცნობებიც, რომლებშიც უფრო მოკრძალებული რიცხვებია გადმოცემული. მაგალითად, ჰასან რუმლუს ცნობით 1470 წელს უზუნ ჰასანმა მოჰამედ ბეგი, სულეიმან ფურნაქი და ბაინდურ ბეგი თბილისისა და „სომხეთის ქვეყნის“ დასალაშქრად 2000 ცხენოსნით გაგზავნა (რუმლუ 1979: 80). „ახალი ქართლის ცხოვრების“ მიხედვით 1489 წელს ხალილ-ბეგმა თბილისის გაჭიანურებული ალყის გამო თავისი არმიიდან გამოყო 1500 მეომარი და ორბეთის დარბევა უბრძანა (ახალი ქართლის ცხოვრება 1959: 345).

როგორც მოცემული წყაროებიდან ჩანს სავსებით ზომიერ რიცხვებთან გვაქვს საქმე, თუ არ ჩავთვლით ერთადერთ შემთხვევას, რომელსაც ვაწყდებით ქართველი მეფე-მთავრების მიერ ევროპაში გაგზავნილ წერილებში. აქედან გამომდინარე იბადება კითხვა: რისი თქმის საშუალებას გვაძლევენ აღნიშნული ცნობები?

სანამ უშუალოდ შევეხებოდეთ საკითხს, აუცილებელია უფრო ვრცლად განვიხილოთ ერისთავობის ინსტიტუტთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი და ამასთანავე, ზოგად ჭრილში მაინც წარმოვიდგინოთ, თუ რა რაოდენობის არმიები ებრძოდნენ ერთმანეთს XV საუკუნის საქართველოში მიმდინარე სამხედრო კამპანიების დროს. უპირველეს ყოვლისა, ერისთავის მთავარ მოვალეობას, რა თქმა უნდა, დადგენილ დროს დადგენილი რაოდენობის სამხედრო ძალის გამოყვანა წარმოადგენდა (ბახტაძე 2005: 14). სამწუხაროდ, არ ვიცით, რამდენი საერისთავო არსებობდა XV საუკუნეში, მაგრამ როგორც ზემოთ აღინიშნა ცალკეული სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულების სამხედრო ძალის შესახებ არსებობს ცნობები. განვიხილოთ ცალკეული შემთხვევები. ყვარყვარე ჯაყელი 1483 წელს ქართლის ჯარის დასამარცხებლად 500 მეომარს სავსებით საკმარისად მიიჩნევს, რაც ზოგად წარმოდგენას გვაძლევს თავად ქართლის სამხედრო პოტენციალის შესახებ. აქედან გამომდინარე, ჰასან რუმლუს ცნობა უზუნ ჰასანის მიერ თბილისის დაპყრობის მიზნით 2000 მეომრის გაგზავნის შესახებ რეალური უნდა იყოს.[9] თავად ქართლის მეფე კონსტანტი-

[9] აქვე უნდა აღნიშნოს შემდეგი: როცა შუასაუკუნეების სამხედრო საქმეს ვეხებით, ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ ქვეყნის სრული სამხედრო პოტენციალი და ერთი კონკრეტული ვითარებისას შეკრებილი არმიის რაოდენობა. სახელმწიფოში პირობითად შეიძლება ცხოვრობდეს 40 000 მეომარი, მაგრამ ცენტრალურმა ხელისუფლებამ თუნდაც ყველაზე საგანგებო ვითარების დროს ბრძოლის ველზე გამოიყვანოს 15 000. შუასაუკუნეების ფეოდალური ეკონომიკა და ლოგისტიკა არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ დიდი ხნის განმავლობაში დიდი არმიები ჰყოლოდა ცალკეული ქვეყნის მონარქს მუდმივად იარაღის ქვეშ. აქედან გამომდინარე, ერთია სრული სამხედრო ძალა, ანუ მეომართა საერთო რაოდენობა და მეორეა გენერალურ ბრძოლაში საველე არმიის რაოდენობა. ეს უკანასკნელი სრულ სამხედრო პოტენციალთან შედარებით გაცილებით ნაკლები იყო. იმავეს თქმა შეიძლება ერისთავებთან დაკავშირებითაც. რადგანაც გურიის ერისთავს 600 მეომარი გამოჰყავს ბრძოლის ველზე, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მის საერისთავოში მხოლოდ 600 მეომარი ცხოვრობს. ცხადია, მისი სრული სამხედრო ძალა, მეტია, მაგრამ ერთ კონკრეტულ ვითარებაში მას გამოჰყავს იმდენი რამდენსაც მას უბრძანებს ცენტრალური ხელისუფლება ან რამდენსაც თავად ჩათვლის საჭიროდ (იმ შემთხვევაში თუ ის მეფეს არ ემორჩილება). თუმცა, ისეთივე მნიშვნელოვანი შეტაკების დროს, როგორიც 1445 წელს ბათუმთან გამართულ ბრძოლა იყო, გამოყვანილი 600 მეომარი ზოგად წარმოდგენას გვიქმნის სხვა მნიშვნელოვანი სამხედრო კამპანი-

ნე II 1490 წელს თავის ქვეყანაში შემოსეული თეთრბატკნიანების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას სამცხის მთავარსა და კახეთის მეფეს სთხოვს, ხოლო მათგან უარის მიღების შემდეგ დიდებულების რჩევით ციხე-სიმაგრეებში ჩაკეტვის საომარ ხერხს მიმართავს. ცხადია, ცალკე აღებულ ქართლის მეფეს არ ჰყავდა იმხელა არმია, რომ თურქმანებს დაპირისპირებოდა გენერალურ ბრძოლაში. აღნიშნულის გათვალისწინებით უკვე შეგვიძლია სხვა რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალიც განვიხილოთ. 1462 წელს იმერეთის ერისთავის ბაგრატ VI-ის წინააღმდეგ მიმავალი გიორგი VIII ყვარყვარე II ჯაყელს ჯარის გამოყვანას უბრძანებს (ვახუშტი 1973: 285). ჩანს, გიორგისთვის სამცხის მთავრის სამხედრო ძალა, რომელიც დიდი ალბათობით რამდენიმე ასეულ მეომარს მოიცავდა, მნიშვნელოვანი სამხედრო დანამატი იყო.[10] ვახუშტის ცნობით, იმერეთში სალაშქროდ მიმავალმა გიორგიმ ჯარები შეკრიბა ქართლ-კახეთში, ჰერეთსა და სომხითში (ვახუშტი 1973: 285). თავის მხრივ, ბაგრატ VI-ს სამხედრო დახმარება აღუთქვეს დადიანმა, გურიელმა, შერვაშიძემ და სვანეთის საერისთავომ (ვახუშტი 1973: 285). როგორც ჩანს, რაჭა-ლეჩხუმის საერისთავომ მონაწილეობა არ მიიღო აღნიშნულ დაპირისპირებაში, თუმცა ამ უკანასკნელის, ასევე სვანეთისა და გურიის სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულების საველე ძალების გათვალისწინებით, რომლებიც ცალკე აღებული რამდენიმე ასეულ მეომარს მოიცავდნენ, პირობითად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბაგრატ VI-ის დასახმარებლად დაახლოებით 2000-3000 მეომარი უნდა მოსულიყო, მაგრამ აღნიშნული სამხედრო ძალა ბაგრატს არასდროს არ მიუღია, ის მხოლოდ თავისი ძალებით შეებრძოლა გიორგი მეფეს და დაამარცხა იგი (ვახუშტი 1973: 285). იმერეთის საერისთავო დიდი ალბათობით დასავლეთ საქართველოს საერისთავოებთან შედარებით გაცილებით დიდ ტერიტორიას მოიცავდა, შესაბამისად მის დაქვემდებარებაში არ გამოვრიცხოთ არა რამდენიმე ასეული მეომრისგან შემდგარი საველე სამხედრო ძალა, არამედ გაცილებით მეტიც, რამდენიმე ათასი

ების დროს გამოყვანილი სამხედრო ძალის რაოდენობის შესახებ. მსგავსი შემთხვევაა როგორც ყვარყვარე მეორე ჯაყელთან, ასევე სვანეთის საერისთავოსთან.

რაც შეეხება იმ საკითხს, რომ ზემოთ აღნიშნულ წყაროებში ცალკეული სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულების საველე ძალები რამდენიმე ასეულ მეომარს ითვლიდა. უნდა აღინიშნოს, რომ ფეოდალურ სისტემაში მეომართა ფენას მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი წარმოადგენდა. სამხედრო ისტორიკოსები ხშირად სახელმწიფოს საერთო მოსახლეობის მხოლოდ 1-2 % მიიჩნევენ სამხედრო ვალდებულების მქონე ფეოდალურ არისტოკრატიად. აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევაშიც, ვფიქრობ, რეალურ ვითარებასთან უნდა გვქონდეს საქმე. მაგალითად, VIII საუკუნეში ჯუანშერ ჯუანშერიანის ცნობით მურვან ყრუს წინააღმდეგ არჩილ მეფის დაძახილზე 5 ერისთავმა და 1 პიტიახშმა ჯამში 1000 კაცი გამოიყვანეს საველე არმიის სახით, ანუ თითოეულმა საშუალოდ 160-170 მეომარი (თავაძე 2020: 229). ბუნებრივია, ფეოდალური ეკონომიკის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა ცალკეული საერისთავოების როგორც სრული, ასევე საველე სამხედრო ძალა. გაზრდილი ეკონომიკა მეტი ადამიანის გამოკვებას უზრუნველყოფდა. ამიტომაცაა, რომ XV საუკუნეში მხოლოდ გურიის ერისთავს 600 მეომარი გამოჰყავს. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ერისთავს ერთი და იგივე რაოდენობის სამხედრო ძალა ვერ ექნებოდა. საერისთავოების სოციალ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ვითარებიდან გამომდინარე ისინი განსხვავებული უნდა ყოფილიყო, რაც გარკვეულწილად ზემოთ ხსენებული წყაროებითაც დასტურდება.

[10] ყვარყვარე ბრძოლაში საბოლოო ჯამში არ ჩართულა (ვახუშტი 1973: 285).

მეომარი ყოფილიყო. ერთი სიტყვით, რისი დანამდვილებით თქმაც, ვფიქრობ, შეიძლება არის შემდეგი: 1462 წელს ჩიხორის ბრძოლაში მოწინააღმდეგეების როგორც ცალკე, ასევე ერთად აღებული არმიის რაოდენობა რამდენიმე ათასს მეომარს ვერ გადააჭარბებდა. მოგვიანებით ყვარყვარე II თავად იწყებს ბრძოლას მეფის წინააღმდეგ. მაგრამ მას ერთი დაბრკოლება ეღობება წინ. საქმე ისაა, რომ 1415 წელს სამცხის მთავრის ივანე ჯაყელის დამორჩილების შემდეგ ალექსანდრე I დიდმა (1412-1442) სამხრეთ საქართველოში ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების მიზნით საერისთავოები შექმნა (ვახუშტი 1973: 279)[11]. სამწუხაროდ, უცნობია რამდენი ან რა ძალის მქონე სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულები შექმნა მეფემ, მაგრამ შეგვიძლია ამ შემთხვევაშიც ზოგადი მსჯელობით შემოვიფარგლოთ. როგორც ჩანს, ცალკე აღებული ყვარყვარეს სამხედრო ძალა გაცილებით ჩამოუვარდებოდა სამხრეთ საქართველოს ერისთავების მეომართა საერთო რაოდენობას. ამიტომაც, 1463 წელს გიორგი VIII-ის სამცხეში შემოსვლისთანავე ყვარყვარე II იძულებულია იმერეთს შეაფაროს თავი (ვახუშტი 1973: 286). მოგვიანებით, მესხეთში დაბრუნებული მთავარი ნიჯადს, ანუ დამხმარე ჯარს სთხოვს ბაგრატ VI-ს ერისთავების წინააღმდეგ ბრძოლისთვის, მაგრამ ჩანს, აღნიშნული ძალაც არაა საკმარისი, ამიტომაც ამჯერად სამცხის მთავარი დახმარებას კახაბერ გურიელისგან იღებს (ვახუშტი 1973: 286-287). ბაგრატის, კახაბერისა და ყვარყვარეს გაერთიანებული ძალებიც დიდი ალბათობით რამდენიმე ათას მეომარს მოიცავდა, აღნიშნული საველე ძალა კი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მათ მეფის ერისთავები საბოლოოდ დაემარცხებინათ და განედევნათ სამხრეთ საქართველოდან (ვახუშტი 1973: 287). ბუნებრივია, აღნიშნული საერისთავოების გაუქმების შემდეგ, ყვარყვარე II-მ საკუთარი ძალაუფლებაც გაიმყარა და ამასთანავე ტერიტორიულ ექსპანსიასთან ერთად თავისი სამხედრო ძალა გაზარდა. ამიტომაც, აღარაა გასაკვირი, რომ იგი 1465 წელს ფარავნის ტბასთან გამართულ ბრძოლაში მხოლოდ საკუთარი ჯარით ამარცხებს გიორგი მერვეს (ვახუშტი 1973: 287).როცა ჯაყელების დაქვემდებარებაში მთელი სამხრეთ საქართველო იყო, ცენტრალურ ხელისუფლებას ყოველთვის უჭირდა მათ წინააღმდეგ ბრძოლა. აღნიშნულ შემთხვევებში ფართომასშტაბიანი მობილიზაცია იყო საჭირო. მაგალითად, 1415 წელს ივანე ჯაყელის დასამარცხებლად, რომელიც ამ პერიოდში მთელ სამხრეთ საქართველოზე ავრცელებდა ძალაუფლებას, რადგანაც აქ ჯერჯერობით საერისთავოები არ იყო შექმნილი, საქართველოს მეფე ალექსანდრე I დიდს „იმერთა“, „ქართველთა, ჰერ-კახთა და სომხითართა“ სამხედრო ძალების შეკრება დასჭირდა (ვახუშტი 1973: 279). შესაბამისად, 1415 წლის ასპინძის ბრძოლაში, რომელშიც მთელი საქართველოს ანუ დასავლეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთის სამხედრო ძალები იღებდნენ მონაწილეობას, არ გამოვრიცხოთ, რომ ორივე მხრიდან გამოყვანილი მეომართა რაოდენობა პირობითად 10 000-მდეც ასულიყო.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ერისთავის იურისდიქციიდან ამოღებული იყო: სამეფო დომენი, საეკლესიო მიწები და დიდ ფეოდალთა მამულები

[11] უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტის ცნობა სხვა წყაროებით არ დასტურდება.

(ბახტაძე 2005: 206). ისინი ცალკე სამხედრო ძალას ქმნიდნენ და კონფლიქტური სიტუაციების დროს კონკრეტული რაოდენობის მეომრები გამოჰყავდათ. სამწუხაროდ, არანაირი წყაროები არ გაგვაჩნია, თუ რა ვითარება იყო მოცემულ პერიოდში ამ კუთხით საეკლესიო მიწებსა და დიდ ფეოდალურ მამულებში. რაც შეეხება სამეფო დომენს, ერთადერთი ხელჩასაჭიდი ალბათ „ხელმწიფის კარის გარიგებაა“, რომელშიც ნახსენებია 300 მანდატურისა და 700 მესაწოლე შუბოსნის ოჯახი (გოგოლაძე 2015: 41), ანუ საუბარია მინიმუმ 1000 სამხედრო ოჯახზე, რომლებიც უშუალოდ მეფეს ემორჩილებიან. VIII საუკუნის 30-იან წლებში არჩილისა და მირის დაქვემდებარებაში საერთო ჯამში 6000 ტაძრეულია (თავაძე 2020: 237). ტაძრეული უშუალოდ მეფის სამხედრო-მსახურეული ფენა იყო და პირადად მონარქს ემორჩილებოდა. რა ვითარება იყო ამ კუთხით XV საუკუნის საქართველოში, სამწუხაროდ უცნობია. ზემოთ ხსენებული საერისთავოების საველე ძალების გათვალისწინებით სამეფო დომენის, ფეოდალური მამულებისა და საეკლესიო მიწების დაქვემდებარებაში არსებული სამხედრო ძალის შესახებ მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა შეიძლება შევიქმნათ. ამასთანავე მნიშვნელოვან სამხედრო დანამატს ქმნიდა დაქირავებული ჯარი, რომელიც „როქის სპის“ სახელწოდებით იყო ცნობილი. ამ კუთხით ერთადერთი ხელჩასაჭიდი ისევ ვახუშტის ცნობებია. სწავლული ბატონიშვილის ცნობით 1480 წელს იმერეთში ლაშქრობის წინ კონსტანტინე II-მ „კავკას-მთიულნი“ დაიქირავა (ვახუშტი 1973: 386). ჩრდილოეთ კავკასიელებისაგან შემდგარ დაქირავებულ სამხედრო შენაერთებს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდათ თემურ-ლენგის წინააღმდეგ ბრძოლებშიც (ტაბატაძე 1974: 100). ამიტომაც, არ გამოვრიცხოთ „როქის სპის“ არსებობას განსახილველ პერიოდში.

ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, უკვე მეტ-ნაკლებად დაწვრილებითი წარმოდგენა შევიქმენით XV საუკუნის საქართველოს სამხედრო ისტორიის რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალის შესახებ. ამ შემთხვევაში უკვე შეგვიძლია უშუალოდ საკითხზე გადავიდეთ. პირველ რიგში, იმისათვის, რათა განვსაზღვროთ, თუ რა რაოდენობის მეომრებისაგან შემდგარი საველე არმიის გამოყვანა შეეძლო ჯერ კიდევ ერთიან საქართველოს სამეფოს XV საუკუნეში, აუცილებლად უნდა მოვძებნოთ ისეთი შემთხვევა, როდესაც გენერალური ბრძოლის გამართვა მოგვიწია მოწინააღმდეგესთან. ასეთი შემთხვევა იყო 1444 წელს, სამცხეში შავბატკნიანთა მბრძანებლის ჯეჰან შაჰის ლაშქრობის დროს. როგორც ვახუშტი გადმოგვცემს, საქართველოს მაშინდელმა მეფე ვახტანგ IV-მ მტერს ახალციხის მიდამოებთან გაუმართა ბრძოლა. სამწუხაროდ არ ვიცით, რა რაოდენობის არმია ახლდა თან შავბატკნიანთა მმართველს, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნე ჩვენთვის ცნობილია 4 წლის წინ საქართველოში შემოსევის დროს მისი არმიის რაოდენობა – ესაა 20 000 (აბდალაძე 1978: 162). დიდი ალბათობაა იმისა, რომ მსგავსი სიდიდის არმია ეყოლებოდა მას 1444 წლის სამხედრო კამპანიის დროს. ამ შემთხვევაში მსჯელობა პირობითად უნდა დავყოთ 2 ნაწილად:

რამდენად რეალურია მართლაც ეს რიცხვი? ამ საკითხის გასარკვევად საჭიროა შედარებითი ანალიზი, რათა დავადგინოთ რა რაოდენობის არმიები

იღებდნენ მონაწილეობას არა მარტო შავბატკნიანთა, არამედ იმ პერიოდის ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე სამხედრო კამპანიებში. მაგალითად, 1406 წელს ისპაჰანის ალყისას ქალაქის გარეთ გამართულ შეტაკებაში თემურ-ლენგის შვილიშვილმა აბუ ბაქრმა მოწინააღმდეგის 2000 მეომარი გაანადგურა, ხოლო მოგვიანებით მის წინააღმდეგ ყადი აჰმედ საიდმა 20 000-იანი არმია გამოიყვანა (Manz 2007: 157) 1407-1408 წლებში ჯეჰან შაჰის მამის, ყარა იუსუფის დაქვემდებარებაში თემურ ლენგის მემკვიდრეების წინააღმდეგ ბრძოლაში 5000 მეომარი იყო (Roy 2014: 37). 1415 წელს შირაზის მმართველი ბაიქარა თემურ-ლენგის შვილის შაჰ რუხის წინააღმდეგ 5000 ცხენოსანს უყრის თავს (Manz 2007: 164.) მოგვიანებით, 1421 წელს ალაშგირდის ბრძოლაში ყარა-იუსუფის შვილებმა იმავე შაჰ რუხის წინააღმდეგ დაახლოებით 30 000-იან არმიას მოუყარეს თავი (Donzel, Lewis, Pellat 1997: 587). 1462 წელს მეჰმედ II-მ 35-45 000-იანი არმიით ილაშქრა ვლახეთში, ხოლო თავად ვლახეთის მმართველს ვლად III-ის დაქვემდებარებაში 8-15 000 მეომარი იყო (Doddy 2018: 3-4). 1488 წელს იაყუბ ყაენმა შირვანშაჰის დასახმარებლად, რომელსაც არდებილის მმართველი ჰეიდარი ავიწროებდა, 4000 მეომარი გაგზავნა (Roy 2014: 39). ამასთანავე, როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა 1477-78 წლებში საქართველოში შემოჭრისას თეთრბატკნიანთა მბრძანებელ უზუნ ჰასანს დაახლოებით 30 000-35 000-იანი არმია ჰყავდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1477-78 წლებში უზუნი მთელს სპარსეთზე მბრძანებლობდა, ხოლო ჯეჰანის დაქვემდებარებაში გაცილებით ნაკლები ტერიტორია მაინც იყო 1440-იანი წლებისათვის, შავბატკნიანთა დაქვემდებარებაში 20 000-იანი არმიის არსებობა უფრო დამაჯერებლად გამოიყურება. გარდა ამისა, ჯეჰანის 1440 წლის შემოსევას ლერი თავაძე და მირიან მახარაძეც შეეხნენ, მართალია ეს სამხედრო კამპანია უფრო პოლიტიკური კუთხით განიხილეს, მაგრამ ჰოვანესის ცნობასთან დაკავშირებით მათ რაიმე ეჭვი არ გამოუთქვიათ, რაც ნიშნავს იმას, რომ ორივე მეცნიერი იზიარებს აღნიშნულ ცნობას (თავაძე 2013: 22-59; მახარაძე 2015: 62-77). ერთი სიტყვით, ჰოვანესის ცნობა სავსებით მისაღებია.[12] შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ჯეჰან შაჰს საქართველოში 1440 და 1444 წლების სამხედრო კამპანიებისას დაახლოებით 20 000-იანი არმია უნდა ჰყოლოდა. ბუნებრივია, საქართველოს სამეფოს, რომელიც მანამდე თემურ-ლენგის, ხოლო მოგვიანებით შავბატკნიანებისა და თეთრბატკნიანების შემოსევების ობიექტი იყო, იმავე რაოდენობის საველე არმია ვერ ეყოლებოდა, რამდენიც მის მოწინააღმდეგეებს.

2) ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ შუასაუკუნეების არმიები ორ ნაწილად იყოფოდა: ა) მეომრები – კავალერია და ქვეითები და ბ) მსახურები, რომელთაგან რაღაც კონკრეტული ნაწილი უშუალოდ იბრძოდა, ხოლო მეორე ნაწილი პირადი მომსახურებისთვის იყო განკუთვნილი და ისინი სამხედრო ძალას არ წარმოადგენდნენ (ხოფერია 2020).

[12] გარდა ამისა, ჰოვანესის, როგორც იმ ეპოქის თანამედროვის ცნობები, განსაკუთრებით საყურადღებოა. იგი, დიდი ალბათობით, ამ ფაქტების უშუალო თვითმხილველია. ქრისტიანი ავტორები მაჰმადიანი მმართველების დაქვემდებარებაში არსებული სამხედრო ძალების რაოდენობას უმეტეს წილად რამდენიმე ასეულ ათასობით განსაზღვრავდნენ. აღნიშნულის გათვალისწინებით ჰოვანესის მიერ მოწოდებული ზომიერი რიცხვი კიდევ უფრო რეალურად მეჩვენება.

მსახურებს სამხედრო კამპანიებისას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდათ. მაგალითად, რომაულ ჯარში მეომრებისა და მსახურების შეფარდება 4:1-თან იყო ანუ 4 მეომარზე საშუალოდ 1 მსახური მოდიოდა (Roth 1999: 115).[13] რომაული წყაროები მსახურთა რიცხვს არა განცალკევებულად, არამედ ჯარის მთლიანი მასის ნაწილად მიიჩნევდნენ (Roth 1999: 105-106). ბუნებრივია, როდესაც ისტორიული წყაროს ავტორი გვეუბნება, რომ კონკრეტული პოლიტიკური ერთეულის მმართველი ლაშქრობას აწყობს 50 000-იანი არმიით, ის ამ მასაში როგორც პროფესიონალ მეომრებს, ასევე მთლიანად მსახურთა რაოდენობასაც გულისხმობს. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, რომ საუბარია საკუთრივ 50 000 მეომარზე, რომელსაც ცალკე უნდა დავუმატოთ მსახურების რაოდენობა. მაგრამ თუ წყაროს ავტორმა იცის პროფესიონალი სამხედროების რიცხვი, რა თქმა უნდა ეცოდინება მისი მომსახურე პერსონალის რაოდენობაც, შესაბამისად ის ჯარისკაცებს და მსახურებს ერთმანეთისაგან აღარ განაცალკევებს. აქედან გამომდინარე, წყაროებში დაფიქსირებული რიცხვები, ვფიქრობ, უმეტეს წილად არმიის მთლიან მასას ასახავს და არა კონკრეტულად მეომართა რაოდენობას, რაზეც ამ შემთხვევაში 1458 წლით დათარიღებული ანდერძ-მინაწერის ავტორი ჰოვანესიც გარკვეულწილად მიგვანიშნებს, როდესაც ამბობს, რომ შავბატკნიანთა მბრძანებელს 20 000 „სული“, ანუ ადამიანი, ახლდა 1440 წლის სამხედრო კამპანიის დროს (აბდალაძე 1978: 162). შესაბამისად, თუ როგორი ვითარება იყო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მომთაბარეებთან მიმართებაში, ამ კუთხით საინტერესოა იოსაფატ ბარბაროს ერთი ცნობა. იტალიელი მოგზაური უზუნ ჰასანის არმიას შემდეგნაირად აღწერს: „რამდენადაც შემეძლო განმესაზღვრა (უზუნ ჰასანის ლაშქარი – ლ.ნ), იქნებოდა 20000-24000-მდე ცხენოსანი, ოთხი ათასიდან ხუთი ათასამდე ქვეითი. ადამიანები, რომლებიც მოდიოდნენ ბანაკის დასახმარებლად, დაახლოებით – ექვსი ათასი“ (ბარბარო 1981: 61). გამოდის, რომ უზუნის არმიის მთლიანი მასა 30-35 000 ადამიანისგან შედგებოდა, საიდანაც იმ მსახურების რიცხვი, რომლებიც უშუალოდ ბრძოლაში არ ებმებოდნენ 6000-ს ითვლიდა, ანუ მთლიანი მასის 1/6-დან 1/5-მდე ნაწილი. თუ ჯეჰანის არმიას 20 000-ით განვსაზღვრავთ, მაშინ არასამხედრო დანიშნულების მქონე მსახურების რიცხვი დაახლოებით იქნება 4000. მაგრამ, როგორც ზემოთ სქოლიოში აღინიშნა, რიგ შემთხვევაში აღნიშნული ადამიანების რაღაც კონკრეტული ნაწილი ხშირად თავად გენერალურ ბრძოლებშიც იღებდნენ მონაწილეობას. გარდა ამისა, ასეთ მსხვილ მასშტაბიან სამხედრო კამპანიებში თავს იყრიდა „არასამხედრო“ ფუნქციების მქონე ადამიანთა საკმაოდ დიდი ნაწილი: მათხოვრები, უსახლკაროები, „გამდიდრების მანიით შეპყრობილი“ ბედისმაძიებელნი, რომლებიც ხშირად დაჰყვებოდნენ არმიებს თან (ბახტაძე 2014: 107; სამუშია 2021: 162-163). რა თქმა უნდა, ასეთი ადამიანების რაოდენობის განსაზღვრა თითოეული სამხედრო კამპანიისას ძა-

[13] ანუ ერთ ლეგიონს, რომელშიც 4800 ჯარისკაცი ირიცხებდა, 1200 მსახური ჰყავდა (Roth 1999: 115). თავის მხრივ, მსახურები თავიანთი ფუნქციებითა და უფლება-მოვალეობებით განსხვავდებოდნენ. მაგალითად, იმ ნაწილს, რომელიც უშუალოდ არ იბრძოდა (Non combatant support personal) “Lixae” ან „Calones” ეწოდებოდათ (Roth 1999: 92-93). თუმცა იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც „Calones” სრული საბრძოლო აღჭურვილობითაც იღებდნენ მონაწილეობას ლაშქრობებში (Roth 1999: 105-107).

ლიან რთულია. ამასთანავე, ჯეჰან შაჰმა 1440 და 1444 წლის შემოსევების დროს სამშვილდე და ახალციხე ალყაში მოაქცია. ცხადია, აღნიშნული ფაქტი საალყო მანქანებისა და დანადგარების არსებობის შესახებ მიუთითებს, ხოლო საალყო აღჭურვილობას თავისი მომსახურე პერსონალი სჭირდებოდა. ერთი სიტყვით, ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, შეიძლება ზოგადი დასკვნის სახით ვთქვათ, რომ აღნიშნული ლაშქრობისას შავბატკნიანთა მბრძანებლის დაქვემდებარებაში 15-16000 პროფესიონალი მეომარი მაინც უნდა ყოფილიყო.[14]

ამ შემთხვევაში, ახალციხის ბრძოლაში თურქმანებთან დაპირისპირებული ქართული არმიის რიცხოვნობის დასადგენად საჭიროა თვალი მივადევნოთ თავად ბრძოლის ეპიზოდებს, ცხადია რის საშუალებასაც წყაროები გვაძლევენ. ვახუშტი აღნიშნულ ბრძოლასთან დაკავშირებით შემდეგს გადმოგვცემს: „ესე ჯაან-შა მცდელობდა დაპყრობასა სრულიად სპარსეთისასა და გარემოთა ყოველთა. წარმოემართა და უგრძნეულოდ მოვიდა სამცხეს, მოუჴდა ახალციხეს და ბრძოდა ძლიერად ქრისტესა ჩუმდ, ქართულსა რლბ. ამისმან მსმენელმან მეფემან ვახტანგ მოსწრაფედ შემოიკრიბნა სპანი იმერ-ამერთა, ჰერ-კახთა, სომხითართა და მივიდა სამცხეს და მუნ მოერთნენ მესხნი სრულიად. ეწყო ჯაან-შას და იქმნა ბრძოლა ძლიერი დილით მწუხრადმდე და მოსწყდნენ მრავალნი ორგნითვე, გარნა უმრავლესნი ჯაან-შასნი, არამედ სწორი ძლევა იქმნა და ვერცა ერთმან სძლო და სიღამით უკუდგნენ ბრძოლისაგან და ხვალისად ორნივე მემუქარენი. არამედ მასვე ღამესა აღიყარა ჯაან-შა ყეენი სპითა თჳსითა იდუმალ, რომელი ვერავინ უგრძნა და წარვიდა ფიცხელად. ხოლო დილას იხილა რა მეფემან, ინება დევნა მისი, გარნა დიდებულნი არღარა აუფლებდნენ მეტყუელნი: აწ ჯერ-არს მადლობა ღუთისა, ვინაჲთგან არა რაჲ წარაქუს ჩუენი, არამედ თჳსისაცა დამტევებელი ივლტის. უსმინა მეფემან და მოიქცნენ

[14] პირველი ლაშქრობისას ჯეჰანმა სამშვილდე 3-4 თვის განმავლობაში მოაქცია ალყაში (თავაძე 2013: 36-37). აღნიშნული დრო სავსებით საკმარისი იყო იმისთვის, რომ ქართველებს დიდი არმია შეეკრიბათ და შავბატკნიანებს შებრძოლებოდნენ. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ცხადია, აღნიშნული ფაქტი უკვე მიუთითებს, რომ საქართველოს სამეფოს მსგავსი სიდიდის საველე არმიის შეკრება უბრალოდ არ შეეძლო. გარდა ამისა, მომთაბარეებთან გაშლილ ველზე ბრძოლა მიზანშეწონილი არ ჩანდა. 1444 წელს სიტუაცია უკვე შეცვლილი იყო, ვახტანგ მეოთხე უკვე იძულებულია ჯეჰანს გენერალური შეტაკება გაუმართოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ახალციხეც სამშვილდის ბედს გაიზიარებდა.

თავის მხრივ 20 000-იანი არმიის შეკრებას შუასაუკუნეებში მხოლოდ დიდი პოლიტიკური ერთეულის მმართველები ახერხებდნენ. შავბატკნიანები XV საუკუნიდან მოყოლებული ებრძოდნენ თეთრბატკნიანებს, ეგვიპტელ მამლუქებსა და ჩაღატაელებს. გარდა ამისა, ხშირი იყო სამოქალაქო ომიც. აქედან გამომდინარე, შესაძლოა მარტო ჯეჰანს ამხელა არმია ვერ შეეკრიბა. ვფიქრობ, შავბატკნიანთა მბრძანებელს სამხედრო დახმარება მისმა სიუზერენმა, შაჰ რუხმა გაუწია. 1435 წლიდან მოყოლებული ჯეჰანი შაჰ რუხის ვასალია. სხვათაშორის, ამავე პერიოდში ალექსანდრე I დიდმა აღიარა ჩაღატაელების უზენაესობა და ხარკის გადახდაც იკისრა, რომელიც თავრიზში მყოფ ჯეჰანს უნდა აეკრიფა. საბოლოო ჯამში ალექსანდრემ მოხარკეობაზე უარი თქვა (თავაძე 2013: 49-50). აქედან გამომდინარე, 1440 და 1444 წლის შემოსევები შაჰ რუხის ინიციატივით უნდა მომხდარიყო, ხოლო მისი უშუალო განხორციელება ჯეჰანს დაევალა. შესაბამისად, ამ უკანასკნელს სიუზერენისგან გარკვეული რაოდენობის სამხედრო კონტიგენტი და შესაძლოა ფინანსური დახმარებაც მიეღო.

გამარჯუებულნი“ (ვახუშტი 1973: 282). როგორც ვხედავთ, ქართულ არმიას შავ-ბატკნიანებთან ბრძოლა საკმაოდ გაუჭირდათ, რაც უმეტესწილად მოწინააღ-მდეგის რიცხობრივი უპირატესობით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. შესაბამი-სად, თუ ჯეჰანის 20 000-იანი არმიიდან 15-16 000 მეომარს გამოვყოფთ, მაშინ შეგვიძლია ქართული საველე არმიის რაოდენობაც განვსაზღვროთ, დიდი ალ-ბათობით, ვახტანგ IV-ის დაქვემდებარებაში არსებული ჯარი შედგებოდა 12-13 000 მეომრისგან.[15] ცხადია, ეს რიცხვი, ისევე როგორც ზემოთ ნაჩვენები ჩემი გამოთვლები პირობითია, მაგრამ ვფიქრობ ზოგადი ტენდენციების დანახვაში მაინც გვეხმარება.[16]

[15] XV საუკუნის თავისებურებებიდან გამომდინარე შეიძლება დავსვათ შეკითხვა: რამდე-ნად იყო ვახტანგ მეოთხის მიერ შეკრებილი არმია საქართველოს მასშტაბით შე-კრებილი სამხედრო ძალა? ანუ აკონტროლებდა თუ არა ამ პერიოდში მეფე ერთიან საქართველოს? აქ ბუნებრივია იგულისხმება დასავლეთ და სამხრეთ საქართველო, რომლებიც მოგვიანებით გამოეყვნენ ცენტრალურ ხელისუფლებას.

როგორც ზემოთ აღინიშნა სამხრეთ საქართველოს დიდ ნაწილში მეფის ერისთავები ისხდნენ. ცალკე აღებული ჯაყელების სამხედრო ძალა ერისთავების სამხედრო პო-ტენციალთან შედარებით უმნიშვნელო იყო. აღნიშნული საერისთავოები კი მხოლოდ 1460-იან წლებში გააუქმა ყვარყვარე მეორე ჯაყელმა კახაბერ გურიელისა და ბაგრატ მეექვსის დახმარებით. გარდა ამისა, 1444 წელს სამცხის მთავარი ყვარყვარეს მამა ივანე ჯაყელი იყო, რომელიც, ამ პერიოდის საბუთების მიხედვით, ათაბაგობასთან ერთად საქართველოს სამეფოს ამირსპასალარი იყო (ჟორდანია 2018: 254). გასაგებია, რომ ათაბაგობა XV საუკუნეში მხოლოდ ფორმალური თანამდებობა იყო და რეალურ დატვირთვას აღარ ატარებდა, მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით ამირსპასალარის სახელო-ზე. ეს უკანასკნელი საქართველოს ჯარების უმაღლესი მხედართმთავარი და პრაქტი-კულად მეფის შემდეგ მეორე პირი იყო. ივანე ჯაყელი დიდი ალბათობით ჯეჰანს შაჰის 1444 წლის შემოსევის შემდეგ მალევე გარდაიცვალა. ამ საკითხთან დაკავშირებით სამი ქრონიკა არსებობს : 1) „ჯანშა ყაენი ახალციხეს მოუხდა და ივანე ათაბაგ მიი-ცვალა“. 2) „ჯანშა ყაენი ახალციხეს მოადგა: მეფემან ვახტანგ ბრძო, უკუნიქცა ყაენი. და მოკვდა იოანე ათაბაგი: დასვა მეფემან ძე მისი აღბუღა“. 3) ჯანშაჰ ყაენი ახალცი-ხეს მოუხდა, ამავე ქ’კს ივანე ათაბაგი მიიცვალა“ (ჟორდანია 2018: 255-256). როგორც ვხედავთ ქრონიკები ივანეს გარდაცვალების თარიღს უშუალოდ შემოსევის შემდეგ განსაზღვრავენ. იგივე ვითარებაა ვახუშტისთანაც (ვახუშტი 1973: 282-283). ამასთანავე, თავად ის ფაქტი, რომ ვახტანგ მეოთხე ალყაში მოქცეული ახალციხის დასახმარებ-ლად მიდის, უკვე ბევრის მთქმელია. მეფე საკუთარი იურისდიქციის ქვეშ მოიაზრებს არა მარტო უშუალოდ ჯაყელების დაქვემდებარებაში არსებულ ახალციხეს, არამედ მთელს სამხრეთ საქართველოს.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ 1451 წელს სო-ხუმს ოსმალები დაესხნენ თავს. ამ ცნობის მიღებისთანავე გიორგი მერვე ლაშქრით გადავიდა აფხაზეთში, მაგრამ, სამწუხაროდ მეფემ ვერ მიუსწრო, ოსმალებს ადგილო-ბრივი ტერიტორიები უკვე დატოვებული ჰქონდათ (ვახუშტი 1973: 284). რადგანაც მეფე აფხაზეთში შემოჭრილი ოსმალების წინააღმდეგ თავად მიუძღვის ლაშქარს, ცხადი ხდება, რომ ცენტრალური ხელისუფლების ძალაუფლების ქვეშაა მოქცეული არა მა-რტო მთლიანად დასავლეთ საქართველო, არამედ დასავლეთ საქართველოს ისეთი შორეული რეგიონიც კი, როგორიც აფხაზეთია.

თუ ჩემი დაკვირვებები სწორია, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1444 წელს ქალაქ ახალციხესთან გამართულ ბრძოლაში მთელი საქართველოს მასშტაბით შეკრებილი არმია იღებდა მონაწილეობას, რასაც, პრინციპში, ვახუშტი წერს კიდევაც როცა გვაწ-ვდის შემდეგ ცნობას: „ამისმან მსმენელმან მეფემან ვახტანგ მოსწრაფედ შემოიკრიბ-ნა სპანი იმერ-ამერთა, ჰერ-კახთა, სომხითართა და მივიდა სამცხეს და მუნ მოერთნენ მესხნი სრულიად“ (ხაზი ჩემია – ლ.ნ). აღნიშნულ ბრძოლაში მეფის მხარდამხარ მო-ნაწილეობა უნდა მიეღო ივანე ათაბაგსაც, როგორც საქართველოს ამირსპასალარს.

[16] კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნო, რომ მოცემული რიცხვი ასახავს მხოლოდ საველე არ-

მოცემული რიცხვი რომ ახლოს უნდა იყოს რეალობასთან, ამას, ვფიქრობ, ცოტა ადრინდელი და მოგვიანო პერიოდის მოვლენებიც ადასტურებს. მაგალითად, თეთრბატკნიანი თურქმანების წინააღმდეგ და შესაბამისად შაჰ ისმაილის დასახმარებლად XVI საუკუნის დასაწყისში ქართლ-კახეთისა და სამცხის მმართველებმა 9 000 მეომარი გამოიყვანეს. აქედან 3000 ქართლმა, 3000 კახეთმა და 3000 სამცხემ (გუჩუა 1973: 91). წინა აბზაცებში არსებული ცნობების გათვალისწინებით, რომელთა მიხედვით მეტ-ნაკლებად ცნობილი იყო მე-15 საუკუნეში გურიის, სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის საერისთავოების ჯარების რაოდენობა (600-800 მეომარი), უპრიანი იქნება თუ მთელი დასავლეთ საქართველოს სამხედრო ძალასაც 3000 მეომრით განვსაზღვრავთ, რაც იმას ნიშნავს, რომ XVI საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოს სამხედრო ძალაც რომ ჩაბმულიყო თეთრბატკნიანი თურქმანების წინააღმდეგ მიმართულ კოალიციაში, ქართული სამეფო-სამთავროების მიერ გამოყვანილი მთლიანი არმია ჯამში დაახლოებით 12 000 იქნებოდა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 1361 წელს ბაგრატ V-მ სამცხეში შემოჭრილი თურქების წინააღმდეგ საგანგებო ვითარებისას ვახუშტის ცნობით თავი მოუყარა „იბჩ“ რაოდენობის (ანუ 12 000 – ლ.ნ) მეომარს (ვახუშტი 1973: 261-262), რაც თავის მხრივ ჩემ მიერ ზემოთ წარმოდგენილ XV საუკუნის საქართველოს სამეფოს საველე არმიის რიცხოვნობასთან დაკავშირებულ მოსაზრებას ამყარებს.

ზოგადად თანამედროვე კვლევები ამ კუთხით საკმაოდ საინტერესოა. მაგალითად, ნიკა ხოფერია შეეხო ვახტანგ გორგასლის ეპოქის სამხედრო სფეროს და რიგი წყაროების კრიტიკული ანალიზისა და შედარება-შეჯერების შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქართლის სამეფოში V საუკუნეში 15-20 000 მეომარი ცხოვრობდა (ხოფერია 2013: 84). VIII საუკუნის საქართველოს სამხედრო ისტორიას შეეხო ლერი თავაძე, რომელმაც ქართული და უცხოური წყაროების ანალიზის შედეგად მიიჩნია, რომ ამავე პერიოდის 40-იან წლებში საქართვე-

---

მიის რაოდენობას და არა მთელი ქვეყნის სამხედრო პოტენციალს. შუა საუკუნეებში ქვეყნის მთელი სამხედრო მასა თვით საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი არ იღებდა მონაწილეობას გენერალურ ბრძოლაში. თავის მხრივ, საველე არმიის რაოდენობა სიტუაციისა და საჭიროების მიხედვით განისაზღვრება. ერთ ლაშქრობაში შეიძლება მონაწილეობა მიეღო პირობითად 3000 მეომარს, მეორეში 5000-ს, მესამეში 8 000-ს ა. შ. მაგალითად, ალექსანდრე I დიდის 1420 და 30-იანი წლების ყველა სამხედრო კამპანიაში, რომელიც მეზობელი ქვეყნების, ყარაბაღის, შირვანისა და სხვა მიმართულებით ჩავატარეთ, ბუნებრივია ყოველთვის 12-13 000-იანი არმია არ მიიღებდა მონაწილეობას. ამიტომაც, როცა ვამბობ, რომ XV საუკუნის ჯერ კიდევ ერთიანი საქართველოს სამეფოს საველე არმიის რაოდენობა 12-13 000 მეომრით უნდა განვსაზღვროთ, ამ შემთხვევაში ვგულისხმობ, რომ აღნიშნული რიცხვი არის მეომართა ის მაქსიმუმი, რომელიც ამ პერიოდის საქართველოს შეეძლო გამოეყვანა საგანგებო ვითარებისას. დიდი ალბათობით, მე-15 საუკუნეში ყველაზე დიდი არმია 1444 წელს ახალციხის ბრძოლაში გამოვიყვანეთ. რაც შეეხება აღნიშნული პერიოდის სრულ სამხედრო პოტენციალს, ეს რიცხვი ჩემი დაკვირვებით 12-13 ათასზე მინიმუმ ორჯერ ან ორნახევარჯერ მეტი მაინც უნდა ყოფილიყო.

გარდა ამისა, როცა ამ პერიოდის სამხედრო სისტემას ვეხებით, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ როგორც თემურ-ლენგის 8 დამანგრეველი შემოსევა, რომელმაც საკმაოდ დიდი დემოგრაფიული დარტყმა მოგვაყენა, ასევე 1340, 1360 და 1420-იან წლებში გავრცელებული შავი ჭირის ეპიდემიები.

ლოში ცხოვრობდა 14 000 მეომარი (თავაძე 2020: 237).[17] თავის დროზე სოსო მარგიშვილმა არაბული და ქართული წყაროების საკმაოდ კრიტიკული განხილვის შემდეგ ვარაუდის დონეზე გამოთქვა საკმაოდ საფუძვლიანი მოსაზრება, რომ IX საუკუნის 50-იან წლებში აფხაზთა სამეფოს დაახლოებით 5 000 მეომრის გამოყვანის საშუალება ჰქონდა (მარგიშვილი 2012: 407). რაც, რა თქმა უნდა, ზოგად წარმოდგენას გვაძლევს იმ პერიოდის სხვა ქართული სამეფო-სამთავროების სამხედრო პოტენციალზე.[18]

საინტერესოა, განსახილველი პერიოდის ევროპაში თუ რა რაოდენობის არმიები იღებდნენ მონაწილეობას მნიშვნელოვან ბრძოლებში. მაგალითად, 1396 წელს ქალაქ ნიკოპოლისთან გამართულ ბრძოლაში ოსმალეთის სულთნის ბაიაზიდ ილდირიმის დაქვემდებარებაში 15 000-20 000-იანი არმია იყო, ხოლო თავის მხრივ ჯვაროსნები 15 000 მეომარს ითვლიდნენ (Palosfalvi 2018: 59-60). 1410 წელს ტანენბერგის ანუ იგივე გრიუნვალდის ბრძოლაში ტევტონთა ორდენის მაგისტრის ულრიხ ფონ იუნგინგენის არმია არ აღემატებოდა 11 000-ს, ხოლო მისი მოწინააღმდეგის პოლონეთის მეფის ვლადისლავ II იაგაილოს მიერ გამოყვანილი არმია 16 500 მეომრისგან შედგებოდა (Delbruck 1982: 523). 1415 წელს აზენკურის ბრძოლაში ინგლისის მეფე ჰენრი V 8680 მეომრით უპირისპირდება 12 000 ფრანგს (Curry 2015: 25-31). 1424 წელს ვერნეულის ანუ იგივე „მეორე აზენკურის ბრძოლაში“ ერთმანეთის წინააღმდეგ 8500 ინგლისელი და 14-16 000 ფრანგი იდგა (Mccalion 2023: 15-16). ამ მხრივ კიდევ უფრო საინტერესოა ე. წ. „ბურგუნდიული ომები“, რომელიც 1470-იან წლებში მიმდინარეობდა. მაგალითად, 1474 წელს ჰერიკორტის ბრძოლაში შვეიცარიელებისა და მათი მოკავშირეების 18 000-იანი არმია 10 000 ბურგუნდიელს დაუპირისპირდა (Delbruck 1982: 605). 1476 წელს გრანდსონის ბრძოლაში ბურგუნდიის ჰერცოგი შარლ მამაცი („გულადი“) 14 000 მეომრით ებრძვის 19 000 შვეიცარიელს (Delbruck 1982: 608), ხოლო იმავე წელს მურტენთან გამართულ შეტაკებაში ბურგუნდიის ჰერცოგი ამჯერად 18-20 000-იან არმიას უყრის თავს. იმავე ბრძოლაში შვეიცარიელებისა და მათი მოკავშირეების რიცხვი 26-დან 28 000-მდე მერყეობდა (Delbruck 1982: 613-617). ერთი სიტყვით, აღნიშნული შედარებითი ანალიზი იმდროინდელი ეპოქის მასშტაბებს გვაჩვენებს. აქედან გამომდინარე, XV საუკუნის ერთიანი საქართველოს 12-13 000 მეომრისაგან შემდგარი საველე არმია, ვფიქრობ, რეალურობასთან ახლოს უნდა იყოს.

შესაბამისად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: წყაროების უმეტესობა საკუთრივ XV საუკუნის საქართველოს ან თუნდაც მისი სამეფო-სამთავროების სამხედრო პოტენციალის შესახებ საკმაოდ ზომიერ რიცხვებს გვთავაზობს, რაც იმ ეპოქის მასშტაბებს სავსებით შეესატყვისება. ზომიერ რიცხვებშია წარმოჩენილი როგორც ქვეყნის სამხედრო-ადმინისტრაციული

[17] ამ შემთხვევაში საუბარია სრულ სამხედრო პოტენციალზე.

[18] თავის მხრივ აღნიშნული რიცხვები აშკარად ეჭვს ქვეშ აყენებს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ იმ მოსაზრებებს, რომელთა მიხედვით ერთიან საქართველოს თითქოს 60 ან ხშირ შემთხვევაში გაცილებით უფრო მეტი 90 000 მეომრის გამოყვანა შეეძლო. ეს რიცხვები აშკარად გადაჭარბებულია და არ შეესაბამება შუა საუკუნეების ეპოქისთვის დამახასიათებელ მასშტაბებს.

ერთეულების ანუ საერისთავოების სამხედრო ძალა, ამასთანავე საქართველოში შემოჭრილი შავბატკნიანი და თეთრბატკნიანი თურქმანების არმიათა რაოდენობაც. ამ პერიოდის ჯერ კიდევ ერთიანი საქართველოს არმია საუკუნის დასაწყისში 2000-5000 მეომარს შეადგენდა, ხოლო მოგვიანებით, დიდი ალბათობით, ალექსანდრე I დიდის (1412-1442) მეფობის დროს, როდესაც ჩვენს ქვეყანას შედარებით მშვიდობიანი პერიოდი დაუდგა, ეს რიცხვი შედარებით გაიზარდა. ამის ნათელი დადასტურებაა 1444 წელს ვახტანგ IV-ის (1442-46) მეფობისას ქალაქ ახალციხესთან გამართული ბრძოლა ჯეჰან შაჰთან, რომელ ბრძოლაშიც შავბატკნიანთა მბრძანებელს 20 000-იანი არმია უნდა ჰყოლოდა. ამ არმიის დაახლოებით 1/5-ს „ბედისმაძიებელნი" და ისეთი მსახურები შეადგენდნენ, რომლებიც უშუალოდ სამხედრო ძალას არ წარმოადგენდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯეჰანის დაქვემდებარებაში აღნიშნული ბრძოლის დროს უნდა ყოფილიყო დაახლოებით 15-16 000 მეომარი. ბრძოლის იმ ეპიზოდებიდან გამომდინარე, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი გვთავაზობს, შეგვიძლია ამ პერიოდის ქართული საველე არმიის რაოდენობა 12-13 000 მეომრით განვსაზღვროთ.

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის ნუსხა:

- **აბდალაძე 1978:** სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება", 1978;
- **ახალი ქართლის ცხოვრება 1959:** ახალი ქართლის ცხოვრება, ტომი მეორე, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, 1959;
- **ბარბარო 1981:** ბარბარო ჯოსაფატ, XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბილისი, გამომცემლობა მეცნიერება, 1981;
- **ბახტაძე 2005:** ბახტაძე მიხეილ, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი, 2005;
- **ბახტაძე 2014:** ბახტაძე მიხეილ, მოწინააღმდეგეთა ჯარების რაოდენობა დიდგორის ბრძოლაში, საისტორიო კრებული 4, თბილისი, გამომცემლობა მხედარი, 2014, გვ 93-109;
- **გოგოლაძე 2015:** გოგოლაძე ანდრო, შუასაუკუნეების ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორიის საკითხები, თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2015;
- **გუჩუა 1973:** გუჩუა ვიქტორი, საქართველოს პოლიტიკური ვითარება XV-XVI სს. მიჯნაზე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, 1973;
- **ვახუშტი 1973:** ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, 1973;

- **თავაძე 2013:** თავაძე ლერი, ჯაჰან შაჰის 1440 წლის ლაშქრობა საქართველოში, საისტორიო კრებული 3, თბილისი, გამომცემლობა მხედარი, 2013, გვ. 22-59;
- **თავაძე 2020:** თავაძე ლერი, არმია VIII საუკუნის საქართველოში, საისტორიო კრებული 8, თბილისი, გამომცემლობა მხედარი, 2020, გვ. 213– 257;
- **თამარაშვილი 1902:** თამარაშვილი მიქელ, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, XIII-დან ვიდრე XIX საუკუნემდე, თბილისი, ელექტ. საბეჭდი სტამბა ქართ. წიგ. გამ. ამხ, 1902;
- **კაკაბაძე 1914:** კაკაბაძე სარგის, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისთვის, I ტომი, თბილისი, ელექ. მბეჭ ს. სოლაბერიძისა, 1914;
- **კვაჭაძე 2020:** კვაჭაძე ბექა, ბურგუნდიის საჰერცოგოს ფლოტილიის საქართველოზე თავდასხმის გარემოებები (1445 წელი), საისტორიო კრებული 8, თბილისი, გამომცემლობა მხედარი, 2020, გვ 193– 211;
- **კლავიხო 1971:** კლავიხო დე გონსალეს რუი, რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმნა და შენიშვნები დაურთო ელდარ მამისთვალაშვილმა, მნათობი, თბილისი 1971;
- **კუცია 1979:** კუცია ა., აჰსან ათ-თავარიხის ცნობები XV საუკუნის საქართველოს შესახებ, საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წ. 2, გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისი, გამომცემლობა მეცნიერება, 1979;
- **მარგიშვილი 2006:** მარგიშვილი სოსო, მითები და რეალობა დავით IV აღმაშენებლის მეფობის შესახებ, ომი სელჩუკთა სამყაროს წინააღმდეგ, თბილისი, გამომცემლობა სიესტა, 2006;
- **მარგიშვილი 2012:** მარგიშვილი სოსო, შუასაუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში, თბილისი, 2012;
- **მახარაძე 2015:** მახარაძე მირიან, კიდევ ერთი აღმოსავლური წყარო შავბატკნიანთა მბრძანებლის ჯეჰან შაჰის საქართველოში შემოსვლის შესახებ, საისტორიო კრებული 5, თბილისი, გამომცემლობა მხედარი, 2015, გვ. 62-77;
- **ჟორდანია 2018:** ჟორდანია თედო, ქრონიკები, II ტომი, თბილისი, გამომცემლობა არტანუჯი, 2018;
- **სამუშია 2009:** სამუშია ჯაბა, საქართველოს დიდი ბრძოლები, თბილისი, ელფის გამომცემლობა, 2009;
- **სამუშია 2021:** სამუშია ჯაბა, დიდგორის ბრძოლა ძლევაი საკვირველი, თბილისი, გამომცემლობა პალიტრა L, 2021;
- **ტაბატაძე 1974:** ტაბატაძე კარლო, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, თბილისი: გამომცემლობა მეცნიერება, 1974;
- **ხოფერია 2020:** ხოფერია ნიკა, არმიათა რიცხოვნობის განსაზღვრის შესახებ, თბილისი 2020, ხელმისაწვდომია https://samxedro-istoria.blogspot.com/2017/01/blog-post_22.html (ბოლოს დამოწმებულია: 20.08.2023);
- **Delbruck 1975:** Delbruck Hans, History of the art of war within the framework of political history, Warfare in antiquity, Translated from the German by Walter J. Renfroe Jr, Lincoln and London, University of Nebraska Press, 1975;
- **Delbruck 1982:** Delbruck Hans, History of the art of war within the framework of political history, The Middle Ages, translated by Walter J. Renfroe Jr, London, Greenwood Press, 1982;

- **Doddy 2018:** Doddy Alexander, Battle of Targoviste, Night Attack, Historymarche, 2018, ხელმისაწვდომია https://www.youtube.com/watch?v=9RoBspQiOiE&t=440s (ბოლოს დამოწმებულია: 20.08. 2023);
- **Donzel, Lewis and Pellat 1997:** Donzel Emeri Johannes Van, Lewis Bernard, Pellat Charles, The Encyclopaedia of Islam, New Edition, Leiden, E.J. Brill, 1997;
- **Kaushik 2014:** Kaushik Roy, "Military Transition in Early Modern Asia, 1400-1750, Cavalry, Guns, Government, Ships, London, Bloomsbury, 2014;
- **Manz 2007**: Beatrice Manz, Power, Politics and Religion in Timurid Iran, Cambridge, Cambridge university press, 2007;
- **Mccallion 2023:** Mccalion David, Battle of Verneuil, 1424 A Second Agincourt, England vs France, Hundred Years' War, HistoryMarche, 2023, ხელმისაწვდომია https://www.youtube.com/watch?v=E1twOs3qa9s&t=1031s (ბოლოს დამოწმებულია: 20.08.2023);
- **Roth 1999:** Roth Jonathan, The logistics of the roman army at war (264 B.C. – A. D. 235), Leiden, Brill, 1999.

Luka Nebieridze

BA Program in History, TSU

THE NUMBER OF THE FIELD ARMY OF THE FIFTEENTH CENTURY KINGDOM OF GEORGIA

(SUMMARY)

The fifteenth century is one of the most important periods of Georgian history. By the end of this century, the United Kingdom of Georgia was divided in three kingdoms and a single principality.

The military aspects of this period have never been the subject of research for Georgian historians.

The goal of my research is to define the number of troops which the fifteenth century kingdom of Georgia (still united one) could gather in a single military campaign on the battlefield (military historians call this kind of army "The field army" or "The army in the field"). In most cases, sources give us quite acceptable and plausible numbers.

In 1405, the king of Georgia George VII had 5000 cavalrymen when he raided Kars, Erzurum and Tabriz. The king also annihilated the army of 15 000 men, sent by Omar mirza, grandson of Tamerlane. In 1412, in the battle of Chalagan, the allied forces of Georgia, Shirvan and Shaki were defeated by The Black Sheep Turkoman ruler Qara-Yusuf. The king of Georgia, Konstantine I had some 2000 men in that encounter. in medieval centuries, Georgia was divided into several military-administrative districts called "Saeristavo" which was ruled by the royal official, "Eristavi". They were obliged to provide the king with some troops when called upon. Thanks to sources, we do know that their military force consisted of only several hundred men (the only exception is

“Saeristavo of Imereti whose army numbered several thousand). For example, in 1445 ruler of Guria region had 600 horsemen in the battle near the city of Batumi. In 1483, Qvarqvare II Jaqeli defeated the king of Qartli with only 500 men. In 1420s Saeristavo of Svaneti could master some 800 men for the upcoming battle against Saeristavo of Racha-lechkhumi. The only unreliable figure we encounter in the sources are in the letters sent by Georgian rulers to the Dutchy of Burgundy. According to these correspondences, at the end of 1450s kingdom of Georgia could master 70 000-80 000 men for the Anti-Ottoman military campaign. But this figure seems a wild exaggeration to me and is out of context for medieval warfare history.

I think in order to define the number of the fifteenth century Georgian field army, we need to find an occasion when according to sources the kingdom needed this kind of military force. From my point of view, such an important occasion took place in the battle near Akhaltsikhe in 1444 where the king of Georgia Vakhtang IV fought against The Black Sheep Turkoman and their leader Jehan Shah. Unfortunately, we do not know the exact number of armies which Jehan had in this battle, but we know from the sources that he had an army of 20 000 in 1440 when he carried out the military campaign against Georgia, which means there is high likelihood that he fought against Vakhtang IV with approximately same force. We must consider that medieval armies consisted of non-combatant servants who in most cases did not engage in battles. According to Giosafat Barbaro, in 1477 The White Sheep Turkoman ruler Uzun-Hasan had 6000 servants when he invaded Georgia with 30 000-35 000 men. Therefore, Jehan Shah’s army might have had some 4000 or slightly more servants which means he had some 15-16 000 professional warriors under his command. If this suggestion is right and we are to believe details given to us by Vakhushti Bagration about the battle of Akhaltsikhe, then I believe I can define the number of the field army of kingdom of Georgia – It must have been around 12-13 000.